**შპს „მთავარი არხის" პოზიცია ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადებაზე**

მიგვაჩნია, რომ არ დარღვეულა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის არც ერთი პრინციპი.

**ფაქტები:**

2022 წლის 03 სექტემბერს სხვადასხვა მედია-საშუალებების ეთერით[1] გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს მრჩეველთა ახალი საბჭო ჰყავს. ინფორმაციას თან სდევდა პრესკონფერენცია, სადაც თავად მერმა გააკეთა კომენტარი აღნიშნულ საკითხზე.

04 სექტემბერს 11 სთ-ზე ინფო რუსთავმა, ონლაინ მედიამ გაავრცელა ფეისბუქ-პოსტი, სადაც მითითებული იყო 23 პიროვნების სახელი და გვარი, ვინც მედია-საშუალების ინფორმაციით, ახლადშექმნილ მრჩეველთა საბჭოში შედიოდნენ[2]. ამ წყაროზე დაყრდნობით, 04 სექტემბერს 14:25-ზე „მთავარი არხის" ვებ გვერდზე გავრცელდა ამავე შინაარსის პოსტი, სადაც მითითებული იყო ინფორმაციის წყარო[3].

ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია არ წარმოადგენდა ჟურნალისტურ პროდუქტს, იგი არ მომზადებულა „მთავარი არხის" ჟურნალისტების მიერ, არამედ ვებ-გვერდზე პასუხისმგებელმა პირებმა უკვე საჯარო სივრცეში არსებული ინფორმაცია გამოიყენეს და გამოიყენეს იგი საავტორო უფლებების წესების დაცვით, შესაბამის წყაროზე მითითებით.

მედიამ სცადა აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება მერიასთან, როგორც ეს ვებ-გვერდზევეა მითითებული, თუმცა ინფორმაცია ვერ მიიღო. მომდევნო დღეს თავად მერიის პრეს-სამსახური შეეხმიანა არხს და მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც სრულად განთავსდა ვებ-გვერდზე.

**ქარტიის პრინციპებთან შესაბამისობა:**

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომელზეც განმცხადებელი მიუთითებს, არაა „მთავარი არხის" საავტორო პროდუქტი, მასზე პასუხისმგებელი არაა არხის რომელიმე ჟურნალისტი. ეს იყო წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელების შემთხვევა. თუმცა, არხმა სცადა ამ ინფორმაციის გადამოწმება, პატივი სცა ქარტიის პირველ პრინციპს და შეეცადა მაყურებლისთვის მაქსიმალურად სწორი ინფორმაცია მიეწვდინა.

მერიის განცხადებიდან გაუგებარია, გავრცელებული ინფორმაცია რა თვალსაზრისითაა მცდარი და რა უზუსტობას შეიცავს.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ „მთავარ არხს" არ დაურღვევია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის არც ერთი პრინციპი.

---

[1] მათ შორის, რუსთავი 2-ის ეთერით https://rustavi2.ge/ka/news/237130

[2] https://www.facebook.com/inforustavi/posts/pfbid02VjSmZwmXX5ZHyPQxs7cMXBgTS8fQmdettVUXC7uC5TE6NwfCuAhvfmwFdxQJiH1hl

[3] https://mtavari.tv/news/96865-rustavis-merma-40-mde-akhali-mrcheveli-dainishna